პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 228 (10 147)
29 ნოემბერი, ოთხშაბათი 1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

## სურვილიდან რეალობისკენ

### ის, რაც შეძლეს ვანის, ზესტაფონის, ხობის, ახალციხის, საჩხერისა და გურჯაანის რაიონებმა, ქ. ფოთმა, სხვა რაიონებმა და ქალაქებმაც უნდა შეძლონ

ვის ძალუძს შეეჭიდოს დიდ საქმეს? მხოლოდ საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში ღრმად დარწმუნებულ ადამიანს... მაგრამ ასეთ ადამიანებს, იმ საქმეს, რაზედაც ახლა გვექნება საუბარი, საერთო საზოგადოებრივი მხარდაჭერა და ენთუზიაზმიც აძლევს სტიმულს. ეს არის მთავარი, მით უფრო, როცა ამ ერთსულოვნებას ისეთი კონკრეტული და ყველასთვის თანაბრად დამაინტერესებელი მიმართულება აქვს, როგორიცაა ფიზიკური კულტურა და სპორტი.

ბოლო წლებში რესპუბლიკის რამდენიმე რაიონმა შეიძინა სპორტული პროფილი. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც სხვებთან, თუნდაც „კარის მეზობლებთან" შედარებით, არც მეტი სახსრები გააჩნია, არც უკეთესი ბუნებრივი პირობები. პირიქით, ხშირ შემთხვევაში მკვეთრადაც კი ჩამორჩებიან. მაშ, რაშია საქმე? სოციალურ-კულტურული სფეროს გონივრული მართვა, სალხის ენთუზიაზმი, სახსრებისა და შესაძლებლობების კოოპერირება, საშეფო მუშაობის მიზნობრივი ორგანიზაცია — აი, პასუხი ამ შეკითხვაზე.

ახლა ისღა დაგვრჩენია, გავეცნოთ კონკრეტულ მისამართებს. საბედნიეროდ, დღეს ასეთებს რესპუბლიკის არა ერთ, არამედ რამდენიმე კუთხეში შევხვდებით. მათ შორის ჩვენს ავტონომიურ რეგიონებში. სამაგალითონი? ალბათ, პირველ ყოვლისა, ვანის რაიონი უნდა დავასახელოთ. თავდაპირველად ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რომ რაიონი ასეთ წარმატებებს მიაღწევდა მოკლე დროში. რაც შენდება, შენდება არა როგორც თვალმისაზიდი „სპორტული ძეგლი", არამედ როგორც ჯანმრთელობის და სპორტის კერა, თითოეულ კერას ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის ძალზე მნიშვნელოვანი მისიაც აკისრია.

ვანი ხშირად საკავშირო შეჯიბრებებსაც მასპინძლობს. ანდა ავიღოთ ზესტაფონის მაგალითი. აქ არა მხოლოდ ძველ სპორტულ ნაგებობებს შთაბერეს სიცოცხლე, არამედ ახალიც ბევრი ააშენეს და, რაც მთავარია, სალხის სამსახურში მათი ჩაყენების ეფექტური ფორმები და გზები გამონახეს. ზესტაფონელთა ეს გამოცდილებაც განზოგადებას მოითხოვს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხობი. ისეთ სპორტულ ნაგებობებს, ამ რაიონში რომ არის, ბევრი დიდი ქალაქი ინატრებდა. თანდათან გვარდება ამ ბაზების შეუფერხებლად და ეფექტურად გამოყენების პრობლემები. იქმნება პირობები, რომ ხობმა სულ მალე დაიმკვიდროს რესპუბლიკაში ერთ-ერთი თვალსაჩინო სპორტული ცენტრის სახელი.

აქვე უნდა ითქვას, ახალციხის, საჩხერისა და გურჯაანის რაიონებში მომხდარ სასიკეთო ძვრებზე. ამ რაიონებში ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება უკვე გამოცოცხლდა. დროდადრო რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე ვხედავთ მათ წარმომადგენლებს, საქართველოს ნაკრებ გუნდებში მოდის ახალი შევსება...

ბევრი რამ გაკეთდა და მეტის გაკეთებას ვარაუდობენ ქუთაისში, ოზურგეთში და სენაკში. აქვე როგორ არ გავიხსენოთ ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის — ერთი შრომითი კოლექტივის უდიდესი წვლილი და ზრუნვა.

ასეა ყოველთვის და ასე იქნება მომავალშიც: სადაც საქმეს გულისყურით ეკიდებიან, სწორედ იქ შეიძლება ფიქრი დიდ და სერიოზულ ნაბიჯებზე, რეალურ წარმატებაზე. ზემოხსენებულმა რეგიონებმა დაგვიმტკიცეს, რომ საერთო ძალისხმევით და მონდომებით მართლაც შეიძლება სასურველი რეალობად აქციო.

## როგორ მოგზაურობ, „ფაზისო"?

## „უიტბრედის" მეორე ეტაპი

**მსოფლიოს** გარშემო იალქნიანი რბოლის „უიტბრედის" მონაწილეებმა მეორე ეტაპიც დაამთავრეს. ურუგვაის პორტ პუნტა დელ ესტედან ფრიმანტლამდე (ავსტრალია) მანძილზე ყველაზე სწრაფად გაიარა ახალზელანდიის ნავის „სტეინლაგერის" ეკიპაჟმა (შკიპერი — პიტერ ბლეიკი). სხვათა შორის, ამ ნავმა მოიგო რბოლის პირველი ეტაპიც. მეორე ადგილი დაიკავა ინგლისის „როტმანსმა", რომელმაც სულ რაღაც 28 წამით აჯობა შვეიცარიის „მერიტს".

რბოლა ამჯერად მეორმოცე და ორმოცდამეათე სიგანედზე მიმდინარეობდა. სპეციალისტები ოკეანის ამ რაიონში ასპარეზობას ხშირად ევერესტზე ასვლას ადარებენ. საბჭოთა ნავი „ფაზისი", რომელსაც ახლა ამერიკელი სკიპ ნოვაკი მეთაურობს, შეგნებულად განერიდა სირთულეებს და მიზნისკენ უფრო შორი გზით გაემართა. ამან, რა თქმა უნდა, ერთგვარად იმოქმედა შედეგზე (მეორე ეტაპზე იგი მეათე იყო), მაგრამ დისტანცია ეკიპაჟმა მშვიდობიანად დაასრულა. სხვათა შორის, აქ ერთი ინგლისელი იახტსმენი დაიღუპა, ხუთი კი ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს ნავზე.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ „ფაზისის" მეათე ადგილი ოცდასამ მონაწილეს შორის კარგი შედეგია, თანაც ეკიპაჟისთვის, რომელიც ასეთ რთულ რბოლაში პირველად მონაწილეობს. ორი ეტაპის ჯამში „ფაზისი" მეცხრე ადგილს ინარჩუნებს.

მეორე ეტაპი დამთავრდა, მაგრამ ფინიშის ხაზი თოთხმეტ ნავს ჯერ არ გადაუკვეთავს. ისინი ოკეანეში არიან.

## „ლელოს" მკითხველებს, ფეხბურთის გულშემატკივრებს

ძვირფასო მეგობრებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, „ლელოს" ფურცლებზე რამდენიმე თვეს მიმდინარეობდა დისკუსია კიზორეუისორ ალექსანდრე ულენტის წერილთან დაკავშირებით. სადისკუსიო წერილის თემა იყო: „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?"

თამამად ვიტყვით: არც ერთ წერილს ასეთი გამოხმაურება არ მოჰყოლია, ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფეხბურთით ჩვენში ფართო საზოგადოებრიობაა დაინტერესებული. გამოხმაურებაში აშკარად სჩანდა აზრთა სხვადასხვაობა, ზოგჯერ იყო რადიკალური შეფასებებიც. ამ ბჭობაში წარმოიშვა აზრი, რომ ჩატარდეს საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, ამით ავამაღლოთ, როგორც ჩემპიონატის, ისე ფეხბურთის ავტორიტეტი.

საქართველოს სპორტსახკომში ამას წინათ შეიკრიბნენ სპეციალისტები, სადაც მსჯელობა გაიშალა ხსენებულ საკითხებზე. საბოლოო დასკვნა არ გაკეთებულა, წინადადება კი — ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების შესახებ მოწონებულია (იხ. „ლელო", 23. XI. 1989 წ.).

საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია ამუშავებენ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების პროგრამის პროექტს. ჩვენ კი ვთხოვთ მკითხველებს შემოგვთავაზონ თავიანთი ალტერნატიული პროექტი. ვვარაუდობთ, რომ ცალკე პროექტი გამოვაქვეყნოთ იმ მკითხველების წინადადებების გათვალისწინებით, რომლებიც გვთავაზობენ კონკრეტულ მოსაზრებებს და არა მთლიანად პროგრამას (ეს იქნება კოლექტიური ალტერნატიული პროექტი). აქვე დავძენთ, რომ მთავარი საკითხებია თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ჩემპიონატში და რა წესით (რეგიონები), როგორი უნდა იყოს გუნდების რაოდენობა, შეჯიბრების ჩატარების ფორმულა, გუნდების სტატუსი (პროფესიული, არაპროფესიული), ჩემპიონთა და პრიზიორთა მატერიალური და მორალური წახალისება, პერსპექტიულ ფეხბურთელთა შემდგომი ბედი და ა. შ.

პროგრამის თქვენეული პროექტი, წინადადებები და მოსაზრებები გთხოვთ გამოგვიგზავნოთ „ლელოს" რედაქციაში მისამართით: თბილისი — 380096, ლენინის 14. წარწერით „ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში".

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

## ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**პარასკევს**, 1 დეკემბერს, 16 საათზე თბილისის სპორტის სასახლის პრეს-ცენტრში ჩატარდება მინიფეხბურთში მ. მესხის სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირის გახსნისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია.

იქვე მოეწყობა ჟურნალისტთა აკრედიტაცია.

პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

## „შეაყარე კედელს ცერცვი"

ამ სათაურით კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა „ლელოს" 21 ნოემბრის ნომერში. გუშინ პასუხი მივიღეთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო სპორტულ კლუბ „ლოკომოტივიდან". აი ისიც:

„ჩვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა იმის თაობაზე, რომ სპორტკლუბის კონფერენციის მოსაწვევი ბარათი დაიბეჭდა რუსულ ენაზე, განვიხილეთ და ვცანით სამართლიანად. ამასთან გაცნობებთ, რომ კონფერენციის მასალები შევადგინეთ ქართულ ენაზე, ერევნის განყოფილებისთვის კი რუსულ ენაზე".

ნ. ქაჯაია,
სპორტკლუბ „ლოკომოტივის" თავმჯდომარე.

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**სპორტულ ტანვარჯიშში** — კახა ბარბაქაძეს (თბილისი, „დინამო"), მედეა ბერიძეს (ბათუმი, „დინამო"), ვაჟა სადღობელაშვილს (თბილისი, პროფკავშირები).

**ფარიკაობაში** — გიორგი კვარაცხელიას (თბილისი, პროფკავშირები),

**ველოსპორტში** — ვიქტორ ოვანესიანს (თბილისი, პროფკავშირები).











**დრო** ყველას და ყველაფერს ერევა, — სუნდება ტრადიციები, ჩვევები, ძველის ადგილს იკავებს ახალი, თანამედროვეობასთან ფეხაწყობილი რიტუალები. უცვლელი რჩება მხოლოდ ის ნიშან-თვისება, რომელიც ერის სახის განმსაზღვრელად ითვლება, თუმცა გარეგნულ ფერისცვალებას ერთგვარად ისიც ემორჩილება.

ჩვენ ალბათ ველარასოდეს გავმართავთ ქართულ ჭიდაობას ისეთი სახით, ჩვენმა წინაპრებმა რომ იცოდნენ, ველარასოდეს აღვუდგენთ მას იმ სისპეტაკეს, რომელსაც ძველი გარემო ასაზრდოებდა. უიმედო ჩივილით როდი ვამბობთ. ეს რეალობაა და ჩვენც ამის გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ.

ჩვენ მხოლოდ ის არ გვეპატიება, ხელი ავილოთ ეროვნულ საუნჯეზე, რომელმაც ყველაზე საშინელ დროსაც კი თავისთავადობა შეგვინარჩუნა, არ მოვუაროთ და მკერდიდან მოვიწყვიტოთ...

ორიოდე დღის წინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებას თანამედროვე იერი ჰქონდა თავისი წონითი კატეგორიებით, მედლებით, პრიზებით, ოღონდ მთავარი მაინც ხომ ჭიდაობა იყო, ქართული ჭიდაობა, უაღრესად რაინდული ბუნებითა და ილეთთა ისეთი სიმრავლით, რომლის შექმნა მხოლოდ ნიჭიერსა და ფეხვმაგარ ერს შეეძლო.

მართალია, მას დროის ზეგავლენის უწინდებური სიხალისე აკლდა, მაგრამ არსით იგივე დარჩა და აქა-იქ, ზოგიერთი შერკინებისას, ის ძველებური სიბლი ისევ გამოკრთებოდა ხოლმე. სწორედ ეს გვისახავს იმედს, თორემ არა გვგონია იმ ხალხმა, რომელმაც ქართული ჭიდაობის აღორძინებას მოჰკიდა ხელი, შუა გზაზე მიატოვოს საქმე. ტურნირები კიდევ იქნება, შინაურიცა და საერთაშორისოც. პირველი საერთაშორისო ხომ უბრწყინვალესი იყო, მომავალში უფრო კარგ და უფრო მარჯვედ მოწყობილ, რაც მთავარია, უფრო სალხმრავალ სარბიელს ვიხილავთ.

ეს შეჯიბრება ჭაშნიკი იყო მხოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიანი რეგიონის პრობლემები

# მესტია გვიხმობს... SOS

საქართველოს მთიან რეგიონებში ხალხი სპორტული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდობაა, როგორ ვეკიდებით მათ დაოსტატებას, ვინ ქმნის დაბრკოლებას ამ გზაზე? მესტიის რაიონმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ ეს კუთხე სპორტული ტალანტების საგადოა, არის, მაგრამ...

და კიდევ: სპორტი მთიანი რეგიონებიდან მიგრაციის შეჩერების საიმედო „ჯებირიცაა“, ამ ფაქტმაც უნდა დაგვაფიქროს.

**თითქმის** დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: მესტიის რაიონში, სადაც ძირითადი სიმდიდრე ხე-ტყეა, სპორტდარბაზის რეკონსტრუქციის დამთავრება იმიტომ გაჭიანურდა, რომ იატაკის დასაგები ფიცარი ვერ იშოვეს. აქაურ სატყეო მეურნეობებს მხოლოდ ნედლი მასალა აქვთ (ხის საშრობი არ არის რაიონში), ამიტომ სამუშაოს მწარმოებელი კოოპერატივის „ცხუმარის“ წევრები კარდაკარ დადიოდნენ მთელ სვანეთში და მათ მოსახლეობისგან, როგორც იქნა, 60-მდე კუბმეტრი ფიცარი შეიძინეს.

შვებით ამოისუნთქეს მესტიელმა მოჭიდავეებმა და მოკრივეებმა და გაცდენილის ასანაზღაურებლად აქტიურად გააგრძელეს ვარჯიში. ისინი თავიდანვე წუხდნენ, ვაითუ გათბობის სისტემის ჩართვა, აგრეთვე წყალსადენის და კანალიზაციის აღდგენა ვერ მოესწროს ყინვების დაწყებამდეო. მართალია, კოოპერატივის კოლექტივი დიდი მონდომებით შრომობს, მაგრამ თვითონ მასაც (იგი ახლად შექმნილი ორგანიზაციაა) ხელის შეწყობაც ესაჭიროება.

პროექტის მიხედვით სპორტდარბაზის სახურავის რეკონსტრუქციაც უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ეს რთული საქმე უკვე დაგვიანდა და იგი ჯერჯერობით ვერ შესრულდება. არადა, ეს დარბაზი მესტიისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ თბილისისათვის სპორტის სასახლე, მესტიაში იგი სპორტის ერთადერთი ცენტრია.

დარბაზი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებას ეკუთვნის. აქვეა მოთავსებული მისი რაიონული განყოფილება და სპორტული სკოლა, რომელშიც 17 ჯგუფი ვარჯიშობს. ამ დარბაზშია შეხიზნული (უსასყიდლოდ) განათლების სამინისტროს 32-ჯგუფიანი კომპლექსური სპორტული სკოლა. აქვეა სპორტსახკომის რაიონული განყოფილებაც.

ერთი შეხედვით თითქოს მესტიაში და მთლიანად რაიონში ყველაფერი ნორმალურად მიდის. აქაური სპორტსმენები კარგ შედეგებს აღწევენ რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში. კერძოდ, წლეულს იმარჯვეს მოჭიდავეებმა, მეკლდეურეებმა, მოკრივეებმა... სამთომოთხილამურეების შედეგებსაც ვერ დავემდურებით, მესტიელი მოკრივე ზურაბ ფალიანი წლევანდელ მსოფლიოს პირველობაში მონაწილეობდა, გ. ჯაფარიძე კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის.

გასაკვირიც კი არის, მატერიალური ბაზის უკიდურესად ცუდ პირობებში როგორ აღწევენ მესტიელი სპორტსმენები ასეთ წარმატებებს. საერთოდ, მთაში მცხოვრებნი და მათ შორის, რასაკვირველია, სვანი ბავშვებიც გამოირჩევიან ფიზიკური სიძლიერით, თუ ამას კარგ მატერიალურ ბაზას დავუმატებთ, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს უცვლელად ეყოლებათ შევსება მესტიის რაიონიდან.

სვანმა კაცმა მოთმინებაც ბევრი იცის და ყოველგვარ რთულ პირობებსაც შეუძლია შეურიგდეს, მაგრამ მომავალი თაობის აღზრდაში არსებულ საგანგაშო მდგომარეობასთან შერიგება ღალატის ტოლფასია და მესტიაში ამ ამბავს ძალიან განიცდიან. ვითარების შესწავლას ვითხოვთ არა იმისთვის, რომ ვინმეს პასუხი ვაგებინოთ ან დავსაჯოთ, არამედ დახმარებისათვის, მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მესტიის რაიონიდან 5 ათასი კაცი უკვე წამოვიდა. მიგრაციის პროცესი გრძელდება, მისი შეჩერებისათვის სპორტის განვითარება ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. მივხედოთ სვანეთს, ვიდრე გვიან არ არის, ვიდრე რაჭისა და ფშავ-ხევსურეთის მსგავსად არ დაცარიელებულა.

**პირიბე გვარლიანი,**
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

მესტია.

IV საკავშირო ტურნირი კრივში დავით კვაჭაძის პრიზზე

# ასპარეზობის ავტორიტეტით...

**კიდევ რა კუთხით შეიძლება სპორტში გარდაქმნა? ალბათ იქ, სადაც წლებით და ათწლობით უნაყოფოდ მუშაობენ სპორტული სექციები, ხაანგარიშოთი ხელში ჩავჭიდოთ, იქ კი, სადაც ნაკლები დაფინანსება და შესაძლებლობებია, მაგრამ უკეთ მუშაობენ, დავეხმაროთ. იგივე ითქმის გორელ მოკრივეებზე და ენთუზიასტ მწვრთნელებზე.**

**ჩვენში** ჭაბუკ მოკრივეთა არაერთი საკავშირო ტურნირი იმართება. მათ შორის გამორჩეულია ცნობილი ქართველი მოკრივის დავით კვაჭაძის სახელობის შეჯიბრება, რომელშიც დიდი სიამოვნებით მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები და რომელიც, როგორც წესი, მაღალ დონეზე ტარდება. ეს, ალბათ, თვით დავით კვაჭაძის მაღალი ტიტულებითა და პირადი თვისებებითაც უნდა აიხსნას (იგი უაღრესად სამართლიანი, უკომპრომისო და გულკეთილი პიროვნება გახლავთ) და, როცა საქმე ეხება მომავალი თაობის სწორ გზაზე დაყენებას, ვფიქრობთ, ეს ფაქტორები ძალზე მნიშვნელოვანია. ალბათ სწორედ ეს იზიდავს ჭაბუკებს თბილისის რინგზე, სადაც ამ დღეებში მეოთხედ გათამაშდა ეს საკავშირო ტურნირი, რომელშიც კიროვაკანის, ლენინაკანის, ერევნის, უზბეკეთისა და ლენინგრადის 180-მდე მოკრივე იბრძოდა გამარჯვებისთვის. ეს ამ ტურნირის დიდი ავტორიტეტის დამსახურებაა.

ასპარეზობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში 14-15 წლის მოკრივეები მონაწილეობდნენ. ამ ასაკის სპორტსმენებს გაისად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის რინგზე მოუწევთ ბრძოლა. კვაჭაძის სახელობის ტურნირმა, განსაკუთრებით მისმა ფინალურმა შეხვედრებმა, დაგვანახვა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საიმედო მდგომარეობა უნდა გვქონდეს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ბოლო დროს კრივის არეალი (ლაპარაკია მოზარდთა კრივზე) ჩვენში საგრძნობლად გაფართოვდა, გაჩნდა ამ სახეობის ცენტრებიც. მაგალითად, ფინალში რომ სამი ხობელი ჭაბუკი გამოდიოდა და სამივემ გაიმარჯვა, ეს სენსაციად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან იქაური ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ჭაბუკ მოკრივეებს აერთიანებს, რომელთაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ტარიელ ვერულაშვილი ავარჯიშებს. გორელთა წარმატება კი ტურნირის ნამდვილი აღმოჩენაა. იქ ამჟამად კარგი მონაცემების მქონე რამდენიმე ჭაბუკი ენთუზიასტ მწვრთნელ ავთანდილ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება ამ ვაჟკაცურ სახეობას. მაგრამ რა ბედი ეწევათ მათ ხვალ, არავინ იცის, რადგან კრივში სამეცადინოდ გორში ელემენტარული პირობებიც კი არ არის. იქ არც რინგი აქვთ, მოკრივეები ერთი ციდა ოთახში (8X6 მ) არიან შეყუჟულნი და რის ვაინაჩრობით ვარჯიშობენ. მიუხედავად ამისა, გორელმა მოსწავლეებმა, კერძოდ კი დავით ავაზნელმა (63 კგ), გიორგი კანდელაკმა (79) და დავით ჯანაშვილმა (85) შესანიშნავად განვლეს სატურნირო ორთაბრძოლები და პირველი ადგილები დაიკავეს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე ტურნირში გამარჯვებულებმა — თეთრი წყაროს წარმომადგენელმა ბესიკ აკობაშვილმა (40) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კრივის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელმა კოტე მაღრაძემ (57). თბილისელ სპორტსმენს, რომელმაც კარგი ტაქტიკური მომზადება გამოავლინა, გადაეცა დავით კვაჭაძის პრიზი.

დასახელებულთა გარდა გაიმარჯვეს: ხობელებმა ბესიკ მანჯავიძემ (42), ჯამბულ ვახანიამ (44), ლენინაკანელმა ლევან კირაკოსიანმა (46), კიროვაკანელმა არაიკ ჯოტოიანმა (48), თბილისელმა ქაკ შატვაროვმა (50), ხობელებმა გოჩა რუსიამ (52), კობა გოგიჩაშვილმა (54), ტაშკენტელმა გიორგი რაპიევმა (57), ლენინაკანელმა მხაკ ლაზარიანმა (60), თბილისელმა ჯაბა წიკლაურმა (66), კიროვაკანელმა არტაკ ისრაელიანმა (70), თბილისელმა ნუგზარ კარამანიანმა (74).



**ს უ რ ა თ ზ ე:** ლენინგრადელი სერგეი ვოლოდინისა და ხობელი ბესიკ მანჯავიძის (მარჯვნივ) ორთაბრძოლა.

ვიქტორ ბუკიას ფოტო.

ელვა-ინფორმაცია

**ათენი (28 ნოემბერი). აქ დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა. ასპარეზობის ბოლო დღეს უძლიერესის ტიტული მოიპოვა სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ (71 კგ).**

# საჭიროა თუ არა ინვალიდთა კლუბები?

**ინვალიდთა** სპორტის პრობლემა ახლა საკმაოდ მწვავედ დგას საბჭოთა კავშირში, არადა ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანთა რაოდენობა რამდენიმე მილიონია. მათი გარკვეული ნაწილი, რა თქმა უნდა, მწოლიარეა, მაგრამ მათ უმეტესობასაც ჰაერივით სჭირდება ფიზიკური კულტურა.

ამ მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად კეთილშობილური და საჭირო ნაბიჯი გადადგა პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს სამდივნომ, რომელმაც მიიღო დადგენილება „ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების შექმნის შესახებ“. კლუბების შექმნა შეიძლება პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებისა და ინვალიდთა საზოგადოებების გადაწყვეტილებით.

ახალი დებულების თანახმად კლუბები მეცადინეობებს აწყობენ ჯგუფებსა და სექციებში სპორტის სახეობათა მიხედვით, აყალიბებენ გუნდებს, ატარებენ ასპარეზობებს, ამზადებენ საზოგადოებრივ ინსტრუქტორებსა და მსაჯებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტული ნაგებობები სავარჯიშოდ მათ უფასოდ უნდა დაეთმოთ. აქ იგულისხმება რეგულარული სამედიცინო მომსახურება, დახმარება ფიზკულტურაში სამეცადინო სპეციალური პროთეზებისა და ორთოპედიული მოწყობილობების შეძენაში. კლუბის წევრებად გახდომა შეუძლიათ არა მარტო ინვალიდებს, არამედ მათი ოჯახის წევრებს, იმ პირებს, ვინც პრაქტიკულ დახმარებას უწევს კლუბს.

წესდებაში არის რიგი პუნქტებისა, რომელთა გაცნობა შეიძლება ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებში. რაც შეეხება საქმის ფინანსურ მხარეს, დებულებაში ნათქვამია, რომ კლუბი არის „იურიდიული პირი და უფლება აქვს ბანკში გახსნას და დახუროს ანგარიშსწორების ანგარიშები“. დაფინანსების წყარო ძალზე დიდია და მასში შედის პროფკავშირთა, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, ინვალიდთა საზოგადოების გამგეობის სახსრები, საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა შეწირულებანი, შესასვლელი შესატანები. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ორგანიზაციის კეთილდღეობა არაფრით არაა დაკავშირებული მისი თანამშრომლების მატერიალურ წახალისებასთან.

ეს პრობლემა, ერთი შეხედვით, გადაწყვეტილია კლუბების წესდებაში: „კლუბის საფინანსო-სამეურნეო მოქმედება, მათ შორის საშტატო მუშაკთა ხელფასების გადახდა, ხორციელდება კლუბის წევრთა საერთო კრებაზე დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით“. ერთი სიტყვით, თუ კრება გადაწყვეტს, რომ კარგ მუშაკს, ნიჭიერ ორგანიზატორს გადაუხადოს ისევე, როგორც მოწინავე საწარმოში, გადაუხდის კიდეც. ასეა წესდების მიხედვით, მაგრამ იქვე, წესდების შემდეგ, არის დებულება თანამდებობრივი ხელფასების შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ თავმჯდომარეს შეუძლია მიიღოს მხოლოდ 160-180 მანეთი თვეში, უფროს ინსტრუქტორს — 120-140, ინსტრუქტორს კი 95-130 მანეთი. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე იქნებიან სპორტის დამსახურებული ოსტატები და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები, მათი ხელფასები 20 მანეთით იმატებს, თუმცა, ეს უკანასკნელი წესი არც არის ანგარიშგასაწევი: საეჭვოა ამგვარი მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები ასეთ დაბალ ანაზღაურებაზე დათანხმდნენ მუშაობას. კულტურული დაწესებულებების არასანუგეშო გამოცდილება ამტკიცებს, რომ ასეთ პატარა ხელფასზე მუშაობას თანხმდება ან ერთეული-ენთუზიასტი, ან შემთხვევითი ადამიანი, რომელსაც არაფერში ენაღვლება ინვალიდთა გასაჭირი.

სწორედ ამიტომ, იქნებ გვიანი არ არის, საკავშირო პროფსაბჭომ გააუქმოს ხელფასების ეს სისტემა და ახლადშექმნილ კლუბებს მისცეს საშუალება თავად განსაზღვრონ ვის როგორ აანაზღაურონ შრომა. სხვაგვარად ეს კარგი დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩება.

# სამზადისი დაიწყო

**ფოთის** წყალსათხილამურო სპორტულმა ბაზა „აიამ“ უკვე მეორედ უმასპინძლა საკავშირო თასის გათამაშებას. ეს ფაქტი იმის საბუთადაც გამოდგება, რომ აქ გამართული შეჯიბრებები მოასპარეზეთა და სპეციალისტთა დიდი მოწონებით სარგებლობს. შემთხვევითი არ იყო, რომ თასის წლევანდელ გათამაშებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ საფრანგეთის წყალმოთხილამურეთა ნაკრების წევრებიც, რომლებიც პირველად „მოიპატიჟეს“ საბჭოთა კავშირში.

ფრანგ სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ფოთელებმა, დაათვალიერებინეს ქალაქიც, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო, რა თქმა უნდა, წყალსათხილამურო ბაზა „აიას“ ნახვით მიღებული შთაბეჭდილებები იყო, რადგან სწორედ აქ უნდა ჩატარდეს 1991 წლის ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში.

სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ფოთში შესანიშნავი კლიმატია, საუცხოოა მალთაყვის ლანდშაფტიც — მისი ტყე-პარკი, „ოქროს ტბა“. თქვენ ისიც, რომ აქ ზამთარ-ზაფხულ შეიძლება წვრთნა და შეჯიბრებების ჩატარება.

„როცა ევროპის ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს მთლიანად მორჩებით, ასეთი ბაზა ევროპაში არც ერთ ქვეყანას არ ექნება“, — განაცხადა საფრანგეთის წყალსათხილამურო სპორტის ასოციაციის პრეზიდენტმა გი ლოპრენსმა.

სამზადისი უკვე დაიწყო. მალთაყვის ტყე-პარკში აშენდება 200-ადგილიანი სასტუმრო, სპორტდარბაზი, საცურაო აუზი, მაყურებელთა ტრიბუნა — 1500 დასაჯდომი ადგილით, ჩაიდგმება 6 სამსართულიანი კოტეჯი, მხატვრის სახლი, „ოქროს ტბაზე“ გაიდება დაკიდული ხიდი, რომელიც ბაზას დააკავშირებს ახალ პლაჟთან, აქვე აღიმართება სამსართულიანი ნაგებობა კომფორტული გასახდელებით, საშხაპეებით, სატელეფონო სადგურით, აერარიუმით. რეკონსტრუქცია გაუკეთდება 500-ადგილიან პიონერთა ბანაკ „მალთაყვას“ — აქ იცხოვრებენ შეჯიბრებაზე ჩამოსული სტუმრები და ტურისტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ამჟამად მუშავდება ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მოიცავს ფოთში ევროპის ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხას. იგი ითვალისწინებს ახალი სასტუმროს აშენებას, „საქთევზმრეწვის“ გაერთიანებისა და ნავსადგურის სასტუმროების „აიეტისა“ და „თოლიას“ რეკონსტრუქციას.

სწრაფი ტემპით წარიმართება ქალაქის მშენებლობის, ქუჩების კეთილმოწყობის, რიონისა და ზღვის სანაპირო ზოლების, ქალაქის ტყე-პარკის განაშენიანების სამუშაოები. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სპორტსმენებს, მომსახურე პერსონალს, ჩამოსულ მაყურებლებს დასჭირდებათ ინტენსიური მომსახურება საჰაერო ტრანსპორტით, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება აეროვაგზლის შენობას, ასაფრენ მოედანს. აშენდება ტელესარელეო სადგური. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების და ტელესარელეო სადგურის საშუალებით ჩემპიონატის მიმდინარეობა გადაეცემა ევროპისა და მსოფლიოს ქვეყნებს.

„აიას“ ტერიტორიაზე განხორციელებული სამუშაოების სპონსორი და გენერალური დამკვეთი იქნება ფოთის ჩაის კომბინატი. ქალაქის მასშტაბით ჩასატარებელ სამუშაოებს გაუძღვება საქალაქო საბჭოს აღმასკომი. ამ საქმეში ჩაერთვება ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებაც, რომელიც მშენებლობის ზოგიერთ უბანზე უცხოეთის ფირმებთან ითანამშრომლებს. აქტიურად იმუშავებენ აგრეთვე ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები, რესპუბლიკის სპორტსახკომის შესაბამისი სამსახურები, „ინტურსიტი“, რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველო და სხვა უწყებები.

ეჭვგარეშეა, ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში მნიშვნელოვან კვალს დატოვებს ქალაქის ახალმშენებლობასა და კეთილმოწყობაში, მისი სპორტული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხის გაუმჯობესებაში, სპორტის სხვადასხვა სახეობათა შემდგომ განვითარებაში.

**ტრისტან მანია.**

ფოთი.

### საქართველოს პირველობა კალათბურთში

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**დასასრულს** უახლოვდება კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალური მატჩების მონაწილენი. ესენი არიან: თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (სოხუმი) გუნდები.

გთავაზობთ ჯგუფური ტურნირების ტექნიკურ შედეგებს:

**7-8 ოქტომბერი.** უნივერსიტეტი — „შევარდენი" (თბილისი) 105:103 (61:53), 107:98 (57:52); ჭიათურა — პოლიტექნიკური ინსტიტუტი 92:98 (36:54), 71:90 (33:41); „მართვე" (თბილისი) — ბათუმი 93:94 (82:82, 72:72, 37:39), 86:67 (52:36); სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — ქუთაისი 102:95 (54:44), 118:112 (106:106, 62:56).

**11-12 ოქტომბერი.** ფიზკულტურის ინსტიტუტი — „სინათლე" (თბილისი) 108:107 (97:97, 53:44), 91:96 (49:56).

**14-15 ოქტომბერი.** ბათუმი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (84:98 (36:59), 82:95 (36:54); საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — ქუთაისი 73:61 (38:34), 89:86 (48:48).

**21-22 ოქტომბერი.** ქუთაისი — „შევარდენი" 79:76 (38:39), 71:81 (36:39).

**22-23 ოქტომბერი.** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი 87:96 (39:52), 99:97 (54:56); „მართვე" — „დინამო" (თბილისი) 89:74 (49:43), 97:78 (49:39); „აზოტი" (რუსთავი) — უნივერსიტეტი 76:80 (37:37), 85:82 (35:45).

**25-26 ოქტომბერი.** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — უნივერსიტეტი 103:112 (42:55), 79:97 (41:49).

**28-29 ოქტომბერი.** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „დინამო" 110:84 (53:45), 121:89 (62:33); „შევარდენი" — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 96:102 (47:49), 115:99 (62:43); ქუთაისი — „აზოტი" 72:68 (43:31), 85:81 (38:38).

**30-31 ოქტომბერი.** „მართვე" — „სინათლე" 97:102 (42:49), 88:96 (56:53).



**1-2 ნოემბერი.** „შევარდენი" — ქუთაისი 90:84 (53:42), 77:91 (50:42); უნივერსიტეტი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 96:65 (58:35), 97:81 (58:31), ბათუმი — ჭიათურა 89:51 (44:16), 87:83 (43:32).

**4-5 ნოემბერი:** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — „აზოტი" 96:82 (43:42), 84:94 (41:44); უნივერსიტეტი — ქუთაისი 86:83 (51:39), 104:82 (43:34); „შევარდენი" — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი 101:81 (54:33), 97:79 (50:48).

**11-12 ნოემბერი.** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „სინათლე" 100:82 (47:35), 101:82 (48:47); „დინამო" — ჭიათურა 99:76 (49:42), 76:73 (31:26).

**14-15 ნოემბერი.** „დინამო" — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი 97:120 (42:61), 98:111 (54:54).

**18-19 ნოემბერი.** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „მართვე" 116:59 (64:22), 123:54 (54:29), „აზოტი" — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი 93:86 (50:49), 92:84 (47:50).

**22-23 ნოემბერი.** საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — „მართვე" 111:76 (54:33), 105:82 (61:46), „დინამო" — ბათუმი 96:86 (79:79, 69:69, 29:37), 84:68 (31:32).

**24-25 ნოემბერი.** საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — „ბათუმი" 96:61 (44:32), 74:83 (44:33).

**25-26 ნოემბერი.** საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — „შევარდენი" 59:53 (37:25), 68:71 (37:42).

**გათამაშების ცხრილები**

**I ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპი (თბილისი) | 24 | 21 | 3 | 45 |
| ფიზ. ინსტიტუტი (თბილისი) | 24 | 19 | 5 | 43 |
| „სინათლე" (თბილისი) | 20 | 12 | 8 | 32 |
| „მართვე" (თბილისი) | 24 | 7 | 17 | 31 |
| ჭიათურა | 24 | 7 | 17 | 31 |
| ბათუმი | 22 | 8 | 14 | 30 |
| „დინამო" (თბილისი) | 22 | 6 | 16 | 28 |

**II ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი (თბილისი) | 20 | 18 | 2 | 38 |
| სსმი (სოხუმი) | 20 | 11 | 9 | 31 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 20 | 10 | 10 | 30 |
| „აზოტი" (რუსთავი) | 20 | 10 | 10 | 30 |
| ქუთაისი | 20 | 7 | 13 | 27 |
| სსი (თბილისი) | 20 | 4 | 16 | 24 |

პირველ ჯგუფში უნდა ჩატარდეს ბათუმი — „სინათლისა" და „დინამო" — „სინათლის" ორთაბრძოლები.

## ცნობები ბათუმიდან

**ქუთაისსა** და გომელში ჩატარდა საკავშირო ტურნირები ბადმინტონში ორ ასაკობრივ ჯგუფში.

უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს ბათუმის მე-8 სკოლის მოსწავლემ ალბერტ ოვანესიანმა და ნორილსკელმა ოლგა გავრუსმა, რომლებმაც ყველას აჯობეს შერეულ წყვილთა თანრიგში. ბათუმის მე-13 სკოლის მოსწავლეების ირაკლი შაველიძისა და თენგიზ ლოლობერიძის დუეტი მესამე პრიზიორი გახდა.

უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის კიდევ ორმა ბათუმელმა ოსტატმა ისახელა თავი — წყვილთა თანრიგში არტურ ხაჩატურიანი და ანდრეი კუტეპოვი მეორე ადგილზე გავიდნენ. ბათუმელ ბადმინტონისტთა გამარჯვებებში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელ ვიქტორ მალიუტინს.

• • •

**ამას წინათ** დანიაში გაიმართა მუშათა საერთაშორისო სპორტული კავშირის თასის გათამაშება ბადმინტონში. მასპინძლებთან ერთად საპატიო პრიზისათვის იბრძოდნენ ავსტრიის, ბელგიის, ფინეთის, ისრაელისა და საბჭოთა კავშირის (პროფკავშირული) ბადმინტონისტები. ჩვენი ქვეყნის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა ბათუმის 24-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი რეგინა არამიანციც.

საპატიო თასის მფლობელი გახდა საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელმაც ფინალში ანგარიშით 7:5 დაამარცხა მასპინძელთა კოლექტივი. წარმატებაში წვლილი შეიტანა ბათუმელმა გოგონამაც, რომელმაც ორი გამარჯვება მოიპოვა — ერთეულთა და წყვილთა თანრიგში. ნორჩი ოსტატი ურიგოდ არც პირადი პირველობის ტურნირში გამოსულა. იგი მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხდა ტურნირის გამარჯვებულ, მოსკოველ ოლგა კუზნეცოვასთან, ხოლო წყვილთა თანრიგში მასთან ერთად პირველობა მოიპოვა.

**ოთარ მურვანიძე.**
(„ლელოს" კორ.).

---

**გაზეთ „ახალი შირაქის" პრიზზე**

# საშემოდგომო პირველობა

**ფეხბურთში** ამ კარგი ღონისძიების ჩატარებას წითელწყაროს რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის" პრიზზე, თვით რედაქციამ ჩაუყარა საფუძველი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 14 გუნდის მონაწილეობამ აამაღლა ასპარეზობის ავტორიტეტი.

ფინალში ქვემო ქედის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ზაურ ხუცურაული) გუნდმა 5:3 სძლია მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ფეხბურთელებს.

გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ რედაქციის გარდამავალი თასი.

**„ლელოს" კორ.**

# თასის ახალი მისამართი

**ჩოხატაურში** დამთავრდა რაიონის 1989 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიაც 16 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თასის შარშანდელი მფლობელი ხიდისთავისა და გოგოლესუბნის კოლმეურნეობის გუნდები. შეხვედრა მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. შეხვედრის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, დამატებით დროში გოგოლესუბნელმა ფეხბურთელებმა 2 ბურთი გაიტანეს. ამ გამარჯვებით გუნდი რაიონული თასის მფლობელი გახდა.

**დავით ხურციძე.**

---

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ბონი.** გფრ-ის ჩემპიონატში ბოლო 4 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი განიცადა მიუნხენის „ბაიერნმა", რომელმაც წააგო „ნიურნბერგთან" — 0:4. როგორც მიუნხენის გაზეთები იუწყებიან, გუნდის კრიზისზე და მისი მწვრთნელის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ი. ჰეინკესის გუნდიდან წასვლაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ დასავლეთ გერმანიის ამ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წარუმატებლობა მაინც აშკარაა, მით უფრო, რომ „ბაიერნი" სულ ახლახან გამოეთიშა ქვეყნის თასისთვის ბრძოლას „შტუტგარტთან" მარცხის შემდეგ — 0:3.

გფრ-ის ბუნდესლიგის ჩემპიონატს ლიდერობს „კიოლნი", რომელმაც ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ბოხუმი". მეორე ადგილზეა ლევერკუზენის „ბაიერი".

**რომი.** იტალიის ჩემპიონატში დამაჯერებლად ლიდერობს „ნაპოლი". მას შემდეგ, რაც კლუბის ხელმძღვანელობის ურთიერთობა წამყვან ფეხბურთელთან მარადონასთან მოწესრიგდა, ნეაპოლელ ფეხბურთელებს სრული შანსი აქვთ იტალიის ჩემპიონობა მოიპოვონ. განვლილ ტურში „ნაპოლიმ" ფრედ ითამაშა „იუვენტუსთან" — 1:1 და წაუგებელი მატჩების სერია 13-მდე აიყვანა.

„ნაპოლის" 3 ქულით ჩამორჩება „სამპდორია", რომელმაც ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ბოლონია". ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა იტალიის შარშანდელმა ჩემპიონმა „ინტერმა", რომელმაც ანგარიშით 1:2 წააგო „ატალანტასთან".

**მადრიდი.** ესპანეთის ჩემპიონატში ლიდერობს მადრიდის „რეალი", რომელმაც გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა „სარაგოსა" — 7:2, მეორე ადგილზეა „ბარსელონა", ბარსელონელებმა მოუგეს ხიხონის „სპორტინგს" — 2:0.

**პარიზი.** „ბორდომ" დაამარცხა პარიზის „რესინგი" — 3:1 და პირველ ადგილზეა საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატში. მეორე ადგილზე მყოფმა „მარსელმა" ფრედ ითამაშა „ნანტთან" — 0:0.

აღსანიშნავია, რომ „მარსელის" შემადგენლობაში სულ ახალ-ახალი ფეხბურთელები ჩანან, კლუბის გენერალურმა მენეჯერმა სულ ახლახან „ნანტიდან" თავის გუნდში 2,75 მილიონ დოლარად გადაიბირა ნახევარმცველი დ. დეშანი, ახლა კი მოლაპარაკება აქვს იუგოსლავიის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელთან დ. სტოიკოვიჩთან.

**ჰააგა.** „ეინდჰოვენის" წევრი ბრაზილიელი რომარიო ჰოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სათავეშია. ამ სეზონში მან 14 ბურთი გაიტანა.

### „ბაძეტა დელო სპორტის" ცნობით

**მთელი** საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად მოელის 9 დეკემბერს, როცა რომში მოხდება 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა წილისყრა. 24 ფინალისტი დაიყოფა 6 ჯგუფად, 4-4 გუნდი თითოეულ მათგანში. პირველ ეტაპზე თამაშები ჩატარდება წრიული სისტემით, 2-2 გამარჯვებული ბრძოლას გააგრძელებს გამოთიშვითი სისტემით.

**I ჯგუფი.** იტალია, არგენტინა, ბრაზილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბელგია, ინგლისი.

**II ჯგუფი:** ესპანეთი, სსრ კავშირი, ჰოლანდია, იუგოსლავია, ურუგვაი, კოლუმბია.

**III ჯგუფი:** შვეცია, რუმინეთი, ირლანდია, შოტლანდია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია;

**IV ჯგუფი:** კოსტა-რიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, ეგვიპტე, კამერუნი, სამხრეთ კორეა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები.

### მარადონა დააჯარიმეს

**იტალიის** ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ნაპოლის" სუპერვარსკვლავი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა შვებულებაში იმყოფებოდა თავის ქვეყანაში და 16 აგვისტოს უნდა გამოცხადებულიყო ნეაპოლში კლუბის შეკრებაზე. ნაცვლად ამისა იგი მხოლოდ 4 სექტემბერს გამოცხადდა. პროფესიულ ფეხბურთში ასეთ შემთხვევებში ზედმეტი ცერემონიების თავი არავისა აქვს, ამიტომაც „ნაპოლის" ხელმძღვანელობამ დიეგო მარადონა 21 ათასი დოლარით დააჯარიმა.

21 ათასი დოლარი მარადონასთვის არაფერია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ჭირვეული კაცია, თავდაპირველად მან უკმაყოფილება გამოთქვა და საჯაროდ განაცხადა, რომ მას, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, უფლება აქვს დაარღვიოს ამგვარი შეზღუდვები და გადაუხვიოს კანონს.

მაგრამ შემდგომში მარადონამ აღიარა, რომ კანონი ყველასთვის ერთია, მან შეცდომა დაუშვა და ახლა მზადაა გადაიხადოს ეს 21 ათასი დოლარი.

### დოპინგის მსხვერპლი

**ფრანგული** ფეხბურთის პრაქტიკაში პირველად ოფიციალურად რეგისტრირებულია დოპინგის მიღების ფაქტი. „ტულონის" თავდამსხმელს ფილიპ ანზიანის აუღეს ანალიზი და გამოირკვა, რომ მის სისხლში აღმოჩნდა აკრძალული ნივთიერება, თუმცა ეს ნივთიერება ფრიად იშვიათია და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სულ ახლახან აკრძალა მისი გამოყენება.

ანალიზის პასუხმა აღაშფოთა არამარტო თვით ფეხბურთელი, არამედ „ტულონის" მწვრთნელი როლანდ კურბისიც, რომელმაც განაცხადა, რომ თუ ფ. ანზიანის დისკვალიფიკაციას მისცემენ, მისი გუნდი პროტესტის ნიშნად მინდორზე არ გამოვა საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო 3 მატჩში.

თვით ფილიპ ანზიანიმ განაცხადა: „არსად და არასოდეს არ წამიკითხავს, რომ დექსტროპროპოქსფენი დოპინგის კატეგორიას განეკუთვნება. ამ პრეპარატს ხშირად მივმართავდი, ჩემთვის ეს საუკეთესო საძილე საშუალება იყო. და აი, სრულიად მოულოდნელად დანაშაულში მდებენ ბრალს. სადოპინგო კონტროლი ნებაყოფლობითი იყო და მეც დავთანხმდი ანალიზს. შემდგომში ასეთ რამეს არავითარ შემთხვევაში აღარ გავაკეთებ.

### მეჰელენი უარზეა

**ბელგიის** საფეხბურთო კლუბის „მეჰელენის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჰოლანდიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრისთვის, რომელიც 20 დეკემბერს უნდა გაიმართოს როტერდამში, არ გაუშვებს ოთხ ჰოლანდიელ ფეხბურთელს, რომლებიც „მეჰელენის" შემადგენლობაში გამოდიან. ესენია: ჰოლანდიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები იონ ბოსმანი, ვიმ ჰოფკენსი, ერვინ კუმანი და გრემ რუტესი.

საინტერესოა, რომ 20 დეკემბერს ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია თავის ქვეყანაში ფეხბურთის დაფუძნების 100 წლისთავს ზეიმობს, ბრიუსელის „მეჰელენს" კი სწორედ ამ დღეს ბელგიის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი აქვს „ლოკერენთან".

## ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში



# დღეს მესამე ტური

**კალათბურთელ** ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში მონაწილე თექვსმეტი გუნდი ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი. უკვე გაიმართა მეორე ტურის მატჩები. მეოთხე ჯგუფის გუნდების შეხვედრათა შედეგები (აქ საბჭოთა კალათბურთელები თამაშობენ) ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ. გთავაზობთ სხვა ორთაბრძოლების შედეგებს.

ბულგარეთი — შვეცია 69:81, საბერძნეთი — რუმინეთი 99:77, ჰოლანდია—ბელგია 88:71, იტალია — პოლონეთი 106:75, ესპანეთი — გფრ 75:64, იუგოსლავია — ინგლისი 108:85.

**გათამაშების ცხრილები**

**I ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 3 |
| შვეცია | 2 | 1 | 1 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 2 |

**II ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 4 |
| იტალია | 2 | 2 | 0 | 4 |
| ბელგია | 2 | 0 | 2 | 2 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 2 |

**III ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| გფრ | 2 | 0 | 2 | 2 |
| ინგლისი | 2 | 0 | 2 | 2 |

**IV ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 1 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 1 | 3 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 3 |

მესამე ტურის მატჩები დღეს, 29 ნოემბერს ჩატარდება.

# ნბა-ს ლეგიონერები

გაგაცნობთ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის შემადგენლობაში მოთამაშე უცხოელებს.

პატრიკ იუკინგი (იამაიკა, „ნიუ-იორკ ნიქსიმ"), მაიკლ ტომპსონი (ბაჰამა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი"), ოლდენ პოულსი (ჰაიტი, „სიეტლ სუპერსონიქსი"), ხოსე ორტისი (პუერტო-რიკო, „უტაჰ ჯაზი"), რამონ რამოსი (პუერტო-რიკო, „პორტლენდ თრეილ ბლეიზი). რიკ სმითი (ჰოლანდია, „ინდიანა პეზვერსი"), აკიმ ოლაჯუონი (ნიგერია, „ჰიუსტონ როკეთსი"), მანუეტ ბოლი (სუდანი, „გოლდენ სტეიტ უორიუორსი"), უვე ბლაბი (გფრ, „გოლდენ სტეიტ უორიუორსი"), დეტლეფ შრემპფი (გფრ, „ინდიანა პეიზერსი"), ხრისტიან ველფი (გფრ, „სან-ანტონიო სპურსი"), შარუნას მარჩელიონისი (საბჭოთა კავშირი, „გოლდენ სტეიტ უორიუორსი"), ალექსანდრე ვოლკოვი (საბჭოთა კავშირი, „ატლანტა ჰოუქსი"), დრაჟენ პეტროვიჩი (იუგოსლავია, „პორტლენდ თრეილ ბლეიზი"), ვლადო დივაჩი (იუგოსლავია, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი"), ჟარკო პასპალი (იუგოსლავია, „სან-ანტონიო სპურსი").

# ჭაბუკები ფალავნობენ...

## „ოლიმპიური რეზერვების" ეგიდით

**ძიუდოს** მოყვარულებისთვის კარგადაა ცნობილი ის დიდი მიღწევები, რომლებითაც გორელმა ძიუდოისტებმა გაითქვეს სახელი საკავშირო თუ საერთაშორისო ხალიჩაზე. აღიარებულ ფალავნებთან ერთად თავიანთ სიტყვას ამბობენ ახალგაზრდა და ჭაბუკი სპორტსმენებიც, რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. ამის დასტურია ის წარმატებაც, რომელსაც გორის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა მიაღწიეს ახლახან ლენინგრადში გამართულ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირზე. „ოლიმპიური რეზერვები" — ასე ერქვა 15-16 წლის ჭაბუკთა ამ შეჯიბრებას, რომელშიც მონაწილეობდნენ ლენინგრადის, მოსკოვისა და თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უძლიერეს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდები.

აი, ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში გორელმა მოჭიდავეებმა ტრადიციული შემართებითა და მონდომებით იასპარეზეს და გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილი წილად ხვდა მოსკოვის გუნდს, მესამე — ტურნირის მასპინძლებს — ლენინგრადელ ძიუდოისტებს.

გორელ მოჭიდავეთაგან ყველაზე უკეთ იასპარეზა მეთხე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ გოჩა ერისთავმა, რომელიც უძლიერესი იყო 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში. გადამწყვეტ, ფინალურ ორთაბრძოლაში მან დაამარცხა შედარებით გამოცდილი და ძლიერი მოჭიდავე, 1989 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ჭიდაობა სამბოში გენადი აბრამოვი. სპეციალისტების საერთო გადაწყვეტილებით, გოჩა ერისთავი აღიარებულია ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ.

მეგობარს ერთი საფეხურით ჩამორჩნენ მეცხრე საშუალო სკოლის XI კლასელი ლაშა ავლოხაშვილი (62 კგ) და ხელთუბნელი მოსწავლე თემურ ოქროსიშვილი (83 კგ), რომლებმაც მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლას დასჯერდნენ კარალეთელი ზვიად სუხიტაშვილი (53 კგ), ფლაველი გია ვაზაგაშვილი (62 კგ), რუისელი კახაბერ კვარიანთაშვილი (68 კგ) და გარეჯვრელი სანდრო მეზვრიშვილი (75 კგ).

**ზურაბ ხუბულური.**



**ბურთით** ყველგან თამაშობენ. თამაშობენ ხმელეთზე თუ წყალში — ფეხით, ხელით, თავით, თამაშობენ ველოსიპედზე თუ ცხენზე ამხედრებულები... თამაშობენ „რკინის რაშებით", როგორც ეს ამ სურათზეა აღბეჭდილი.

ბურთით თამაშის ფანტაზია ჭერაც ამოუწურავია.

# კვლავ ისახელა თავი

**საქართველოს** მებაიდარეთა და კანოისტთა ნაკრების წევრმა თემურ მარტოლეკმა მოკლე ხნის მანძილზე ორჯერ იასპარეზა სომხეთში გამართულ შეჯიბრებებში და ორივეჯერ საყურადღებო წარმატებას მიაღწია. ჯერ სევანის ტბაზე გამართულ ასპარეზობაში ისახელა თავი, ახლახან კი ერევანში ჩატარებულ ცნობილი სომეხი ნიჩბოსნის გ. ვოსკანიანის მე-20, საიუბილეო მემორიალურ ტურნირში იმარჯვა — მან და ვ. პოგორელოვმა ყველას აჯობეს 1000 მეტრზე ორადგილიანი კანოეებით რბოლაში. თ. მარტოლეკმა ე. სიტნიკოვთან ერთად 500-მეტრიან დისტანციაზეც მოსინჯა ძალა. ფინიშის ხაზთან ისინი მესამე იყვნენ.

დავძენთ, რომ ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რიგის, ტერნოპოლის, დნეპროპეტროვსკის, უფის, ბელგოროდისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

**ნანა გოგოლაშვილი.**

# შავი გამარჯვებულის რანგში

**ბელგრადში** დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ვადამდე გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. ამასთან, მან რეიტინგთა ცხრილში არნახულ ზღვარს მიაღწია — 2800 ქულა მოაგროვა. და აი, შეჯიბრების ბოლო ტურში კასპაროვმა კვლავ გაიმარჯვა, მოაგროვა 9,5 ქულა 11-დან და თავისი სარეიტინგო ქულები 2810-მდე გაზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტურნირის გამარჯვებულმა მთელი 3 ქულით (!) ჩამოიტოვა უახლოესი მდევრები იან ტიმანი (ჰოლანდია) და იან ელვესტი. შემდეგ მოდიან არტურ იუსუპოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 6-6 ქულა, იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) — 5,5, ზდენკო კოჟული (იუგოსლავია), სიმენ აგდესტეინი (ნორვეგია) — 5-5, ნაიჯელ შორტი (ინგლისი), პრედრაგ ნიკოლიჩი — 4,5-4,5, პეტარ პოპოვიჩი — 4, ბრანკო დამლინოვიჩი (სამივე — იუგოსლავია) — 3.

## მოკლედ

**სამტრედიაში** „ლოკომოტივის" სპორტულ დარბაზში ჩატარდა 1989 წლის სარაიონო ჩემპიონატი მინიფეხბურთში უბნის გუნდებს შორის.

ფინალში ერთმანეთს რუსთაველისა და კოსმონავტების ქუჩების გუნდები შეხვდნენ, საინტერესო ორთაბრძოლა რუსთაველელთა გამარჯვებით — 4:3 დამთავრდა.

## პროფესიული ავტოსპორტის სამყაროში

### ბალესტრი: „სანქციები მძიმეა, მაგრამ სამართლიანი"

**ფრანს პრესის** სააგენტოს ცნობით, საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფია) სანქციები ბრაზილიელი მრბოლის აირტონ სენას მიმართ „მძიმეა, მაგრამ სამართლიანი". შეგახსენებთ, რომ სენას მისცეს ექვსი თვით დისკვალიფიკაცია და დააჯარიმეს 100 ათასი დოლარით.

— ამ სანქციის შესახებ გვიან გავიგე, — თქვა ფია-ს პრეზიდენტმა ჟან-მარი ბალესტრმა. — რა თქმა უნდა, 100 ათასი დოლარი დიდი თანხაა, მაგრამ სენას არა აქვს საქმე სატირლად. იგი წელიწადში 12 მილიარდ სანტიმს იღებს. ამას გარდა, მან დაიმსახურა ეს სასჯელი.

ბრალდებაზე, რომ ბალესტრი მეტი სიმპათიით უყურებს პროსტს, ფია-ს პრეზიდენტმა განაცხადა: „ჩემის აზრით, ალენს არ სჭირდებოდა „იაპონიის გრან პრის" მოგება. ამ საქმეში ჩავერიე, რათა არ დარღვეულიყო „თამაშის წესები". როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა ისეთი სასიკვდილო ტრიუკის გაკეთება, როგორიც სენამ გააკეთა 47-ე წრეზე?"

### მსოფლიო ჩემპიონატი სენას გარეშე?

**აი,** ალბათ, რა მოჰყვება ფია-ს სააპელაციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას და სწორედ ეს საკითხი აწუხებს ახლა ყველაზე მეტად ბრაზილიურ პრესას.

— სენა ფიქრობს, რომ თავს დაანებებს „ფორმულით" რბოლას. — წერს რიო-დე-ჟანეიროს გაზეთი „გლობუ" და იქვე მოჰყავს ბრაზილიელი პილოტის სიტყვები: „აღარ დავრჩები ტრასაზე მას მერე, რაც რბოლისგან მიღებული სიამოვნება ბევრად ჩამოუვარდება უსამართლო გადაწყვეტილებებით მოყენებულ წყენას".

— სენა შეიძლება წავიდეს „ფორმულიდან", თუ ვერ დაარწმუნებს ფია-ს თავის უდანაშაულობაში. — ასეთი აზრისაა „ჟორნალ დუ ბრაზილი". ამ გამოცემის მთელი გვერდი სენას აქვს დათმობილი, სადაც იგი უარყოფს მისდამი წაყენებულ ყველა ბრალდებას.

გაზეთი „ფოლია დი სან-პაულუ" წერს, რომ „ალენ პროსტის გამარჯვებას სიმწარის გემო დაჰკრავს და რომ ფრანგმა მრბოლმა ვერ აღიქვა წარმატება ისე, როგორც ეს მას სურდა".

სან-პაულუს მეორე გაზეთი „გაზეტა ესპორტივა" ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბრაზილიელ პილოტს მხარს უჭერს მსოფლიოს სამგზის



ჩემპიონი ჯეკი სტიუარტი, რომელიც თვლის, რომ ფია-ს გადაწყვეტილება „აბსურდულია".

### სტირლინგ მოსი ფია-ს წინააღმდეგ

**ბრიტანული** ავტოსპორტის ყოფილმა ვარსკვლავმა სტირლინგ მოსმა მხარი დაუჭირა „მაკლარენის" გუნდს ფია-ს წინააღმდეგ ბრძოლაში. თავისი კარიერის მანძილზე (1951-61 წლები) ამ სპორტსმენმა 16 „გრან პრი" მოიგო. იგი თვლის, რომ აირტონ სენას ძალზე მკაცრად მოექცნენ.

მოსმა აპელაციის განხილვის პროცესს „ფუნდამენტალურად არასწორი და ანტიდემოკრატიული" უწოდა:

— მთლიანად ვუჭერ მხარს „მაკლარენის" გადაწყვეტილებას განაგრძოს ბრძოლა, — განაცხადა მან— ამასთან, ვფიქრობ არასწორია მრბოლის დაჯარიმება იმის გამო, რომ კარგად აკეთებს იმ საქმეს, რისთვისაც ფულს უხდიან. შეიძლება ადრე სენა მართლაც არღვევდა შეჯიბრების წესებს, მაგრამ ამჯერად მისი დაჯარიმება სწრაფი სიარულისთვის უსამართლობად მიმაჩნია".

ამასთან, სტირლინგ მოსმა დასძინა, რომ ის ურთიერთობები, რომლებიც ამჟამად არსებობს „ფორმულა 1"-ის მრბოლებს შორის, ვნებს სპორტს.

— ჩემ დროს, როდესაც რბოლა ჯერ კიდევ სპორტი იყო, ქორწილში ექვსი ხელისმომკიდე მყავდა, ექვსივე — მრბოლი. ვფიქრობ, ახლა, რბოლებში რომ ვმონაწილეობდე, კოლეგებს შორის ვერც ერთს ვერ ვიპოვიდი საამისოდ.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 531